სამშობლო

ხუთშაბათი
24 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 318 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 318

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრიგ ტკბილია ძმობილო მიჩვეულის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო“-ზე წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“.

25 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

ო მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია აუწყებს იმ პირთ და დაწესებულე-ბს, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ, ჩაეწერონ ქუთ. ქალაქის ქალთა ორ-ასიანი სასწავლებლის გამგესთან 24 მარტამდი, გენერლის ქუჩაზე. გამგის ნახვა შეიძლება 12—3 საათამდი.

პეტიცია დანიშნულია 19 მარტს, ქალაქის თეატრში, სად. 4 საათზე. ბილეთები გაიყიდება 19 მარტიდან თეატრის კასაში.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდლათ.

შიო მღვიმელის

რჩეული ლექსთა კრებული.

საიუბილეო გამოცემა კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა.

ფასი 5 შაური. 3—2

ბურახი (კვასი) „ესპერანტო“

ადუღებული წყლით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში. ერთი ლიმონათის და ნარზ ნის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., ლუდის ბოთლი 10 კ., შამპანიურის ბოთლი 12 კ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გაახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანინებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება ფასი.

კვასი შეინახეთ ცივათ, გაძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ კვასი ტკბილი და უგაზოა—შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაჯრდება. ბურახი (კვასი) ერთნაირი კეთდება თუ უვარგისობით გ.ნახვავება ნახოთ, ჩვენ მოსთხოვეთ მოიტანს პასუხი, რადგან იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის ბურახი (კვასს.

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა

12—5 **გამგეობა.**

ს.|ს. ი. გოკიელის შვილების ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

ვიიდეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

ხ. ხრისტოდულიდის.

სამართი წერილებისთვის: ქუთაისი, საკ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.

დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ეითალი. პ. ვ. ნეურონოვი ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ხოველებს დილის 9—10 საათამდი და ღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარქოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახ-ანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფის მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. ამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვვაშოვი ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

პარასკევიდან, 25 მარტიდან ნაჩვენები იქნება

დასჭკნა ბაღში ხრიზანტემა.

ი. ი. მოზჟუხინის მონაწილეობით

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

პარასკევიდან, 25 მარტიდან ნაჩვენები იქნება

ნახევრად ქალწულნი.

კინო რომანი 4 ნაწილად, მაღალ წრეთა ცხოვრებიდან. ცნობილ ფრანგ მწერლის მარსელის რომანიდან. ლიდა მურომსკის მონაწილეობით.

ანონსი: ელექტრო-თეატრ რადიუმსა და ამპირში, 30 და 31 მარტს და 1 აპრილს, მხოლოდ სამი დღით, ორივე თეატრში ნაჩვენები იქნება

არზრუმის იერიში და დაცემა.

ორ დიდ განყოფილებათ. გადაღებულია ბუნებიდან სკობელევსკის კომიტეტისაგან დაწვრილებით აფიშებში.

დაიბეჭდა და გასაყიდად დაურიგდა **თ. მთავრიშვილის** და ამხ. მიერ გამოცემული ს. გ. გორგაძის თხზულება

ქართული მართლწერა

ფასი 40 კაპ. წიგნი იყიდება ქუთაისში—გამომცემელის წიგნის მაღაზიაში, თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიასა და ს. მერკვილაძესთან, ხონში მინა პავპანიძესთან.

81 10—8

აბრეშუმის თესლი.

უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის სააბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის

92 მიერ **ვალიკ კოსერი.** თ.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

10

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლი[illegible]ტონი. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2.

11 თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87.

14 თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

გერმანელები განაგრძობდენ იკსკულის სიმაგრეებზე ყუმბარების დაშენას. გენერალ ევერტის ჯართან არავითარი არსებითი შეტაკება არ მომხდარა. მტრის მფრინავები ჯარების თავზე დაფრინავდენ. მათ დაბა ლიხენჩევოსთან 9 ყუმბარა ჩამოაგდეს. ოლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. ბომუსკოვკას რაიონში ჩვენ უკუვაგდეთ მოიერიშე მტერი. სარნსა და როვნაზე მტრის თვით მფრინავები ყუმბარებს ყრიდენ. კრამენცის რაიონში სტეპანოვოსთან, მტერმა ორი ნაღმი ააფეთქა, მაგრამ ამოთხრილები ვერ დაიკავა ტარნოპოლის რკინის გზის მიმართულებით მტრის იერიშები უკუვაგდეთ. ბაიანის სამხრეთით მტერმა ააფეთქა ნაღმი, მაგრამ უშედეგოთ.

კავკასიის ასპარეზი.

20 მარტს ბრძოლაში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ კიდევ ორი რაზმი ოსმალებისა, მთელი თავის შემადგენლობით. ბითლისის მიმართულებით ჩრდილო დასავლეთით ჩვენ წინ მივიწევთ.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შეერთებული შტატები გერმანიის წინააღმდეგ.

შეერთებულმა შტატებმა ამ დღეებში ორი ხომალდის დაღუპვის გამო გერმანიის მთავრობას ნოტა წარუდგინა და პასუხი მოსთხოვა, ვაშინგტონის საზოგადოება დიდად აღელვებულია ამერიკის გემების დაღუპვის გამო და მოითხოვს, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავის კაპიტანი, რომლის განკარგულებით გემებს ნაღმი ესროლეს და ზღვის უფსკრულს მისცეს, გერმანიის მთავრობამ სიკვდილით დასაჯოს ამერიკის მთავრრობაც იმდენათ აღელვებულია, რომ ირწმუნება გერმანიის ახსნა-პასუხს მხედველობაში არ მიიღებს და ყოველ შემთხვევაში თავისს მხრით ზომებს იხმარს. ამერიკის ფინანსიური წრეები მოელიან, რომ მთავრობა გერმანიას ომს გამოუცხადებს.

ბალკანეთში

საბერძნეთს ეპირის დროებით დაკავებისათვის პასუხი მოსთხოვეს.

— —

პეტროგრადში ცნობა მიიღეს რომ რუმინიის საზღვრებზე ბულგარეთის ჯარებს ორი რაზმი უკვე გამზადებული ჰყავსო.

რიგის თავზე.

გუშინ წინ ღამით რიგაში მოულოდნელათ სინათლე ყველგან ჩააქვრეს; ამ დროს ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე უეცრად პროჟექტორის სხივებმა გაიელვეს და პოზიციიდან ცნობა მოვიდა: ქალაქისაკენ „ცეპელინი“ მოფრინავს და მარჯვეთ დახვდითო. ყველა დასახვედრათ დაემზადა; მარა როგორც კი იგრძნო ეს ცაში მონავირდე მტერმა, მაშინვე პირი იბრუნა და მაღლა-მაღლა აფრენით თვალთაგან მიიმალა.

უბედურება შავ ზღვაზე.

18 მარტს დილით ადრე შავ ზღვაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური)

მდგომარეობა არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა: სჩანს რუსეთის ჯარის წინსვლა შეჩერდა.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე გერმანელებმა იერიშები თითქო შესწყვიტეს: მხოლოდ რიგის რაიონში ისკიულსკის წინა სიმაგრეებს ზარბაზნებს ესროდენ; ეტყობათ, რომ ისინი ამ სიმაგრეებს მანამ არ მოეშვებიან, ვიდრე ხელში არ ჩაიგდებენ და იქ მკვიდრ ბაზარს არ გაიჩენენ: რიგის აღებათ ეს მათთვის აუცილებელი ხდება, ვინაიდან სხვა მხრიდან რიგას ამ წყალდიდობის დროს მაინც ვერსაიდან ვერ მოუდგებიან. აქ ახლა მდ დვინა ორ-სამ ვერსზე უკვე გადასულია ნაპირებიდან: მთელ დვინის ფრონტზე სამხედრო მოქმედება თითქმის შესწყდა ალბათ ასეთივე მიზეზის გამო დვინსკის რაიონშიც და ქვეით ტბების სამფლობელოებშიაც ჯარების მოძრაობა და შეტაკებანი შეჩერდა. გერმანელები ნიადაგს იმზადებენ შემდეგი შეტევისათვის დაბა ლიხოვიჩის, როვნოსა და სარნოს რაიონებში, სადაც მათმა მფრინავ მეომრებმა ბევრი ყუმბარა ჩამოაგდეს და საჭირო ალაგებიც დაზვერეს. ავსტრიის ფრონტზე საყურადღებოა გალიციაში დაწყებული შეტევა ავსტრიელების მხრით. აქ გამეფებული სიჩუმე ისევ ავსტრიელებმა დაარღვიეს და ტარნოპოლის დასავლეთით რკინის გზის რაიონში შეტევა დაიწყეს, მაგრამ რუსეთის ჯარმა ისინი შეაჩერა.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე ახლა პოზიციური ბრძოლა კანტი-კუნტათ სწარმოებს: მომეტებულათ ახლა საჰაერო ბრძოლა იმართება. ორივე მხრიდან საფრანგეთისა და გერმანიის მრავალი საჰაერო ესკადრებია გამზადებული საომრად. ამ მხრით ინგლისი ყველას ჩამორჩა, შემდეგ რუსეთი— ამიტომაც არის, რომ გერმანელებმა ინგლისზე საჰაერო იერიშები და ნავარდი გაახშირეს. საფრანგეთში უკანასკნელ დროს ვერდენზე ჰაეროპლანებით თავდასხმა და იერიშები გაძლიერეს, მაგრამ აქ ფრანგები მათ თავისი საჰაერო ესკადრებით მარჯვეთ უმკლავდებიან: ამით აიხსნება, რომ ვერდენის სიმაგრეები ჯერ კიდევ მათგან უვნებლად არიან აღმართულნი. საერთოდ ამ გაზაფხულზე საჰაერო ბრძოლა და ჰაეროპლანების ნავარდი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე შესამჩნევად გაძლიერეს და გაახშირეს.

ვერდენთან. გუშინ გერმანელებმა ოკურ—მეტენკურის სიმაგრეებზე ენერგიული იერიშის მიტანა სცადეს, მაგრამ დიდი ზარალით უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროთ მდ მაასის აღმოსავლეთის მხარეზე ამ დღეებში მიტანილმა იერიშებმა ნაყოფი გამოიღო და ახლა გერმანელები მელენვილის სექტორებს მძიმე ზარბაზნებს უშენენ; აქედან სჩანს, რომ ისინი ვერდენს აღმოსავლეთის მხრიდან რამდენიმე ვერსით კიდევ დაუახლოვდენ. ნელი, მაგრამ მტკიცე შეუდრეკელი ნაბიჯით უახლოვდებიან გერმანელები ვერდენს და შორს არაა ის წამი, როცა ისინი ნახევარ ვერდენზე შემორტყმულნი სამი მხრიდან მას მძიმე არტილერიის ზარბაზნებს დაუშენენ, ზეციდან ჰაეროპლენების მთელ ესკადრათა რაზმებს მოიშველიებენ და ასეთი შეწყობილი იერიშით რათაც უნდა დაუჯდესთ „გერმანული სიჯიუტით“ თავისას შეისრულებენ.

სხვა ფრონტზე მხოლოდ გევგელთან დაწყებული საარტილერიო ბრძოლა იქცევს ყურადღებას. სხვაგან არც ზღვაზე და არც ხმელეთზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

დაილუპა რუსეთის გემი-ჰასპიტალი „პორტუგალი“.

დილით 8 საათზე იგი ანატოლიის ნაპირებთან ოფის ახლო დადგა: მასში ანატოლიიდან მოყვანილი დაჭრილები უნდა მოეთავსებიათ, მაგრამ იმ საბედისწერო მომენტში საბედნიეროთ დაჭრილები გადმოყვანილი კიდევ არ ჰყავდათ. გემს „პორტუგლის“ ბუქსირთ მოჰყავდა ბარქასი და როცა იგი შეჩერდა, რომ ბარქასში შესული წყალი გადმოეღვარა და იგი გაეთავისუფლებია, ამ დროს საიდანღაც მოულოდნელად მის ახლო ზღვის ზედაპირიდან მტრის წყალქვეშა ნავის „პერისკოპმა“ ამოყო თავი. ნავმა სწრაფად შემოუარა ირგვლივ გემს-ჰოსპიტალს და 40 საჟენის სიშორიდან სტყორცნა ნაღმი, რომელიც გემს როგორღაც აშორდა; მყისვე ნავმა მეორე ნაღმი გამოისროლა, რომელიც გემის შუაგულს მოხვდა, სადაც გემის მომაძრავებელ მანქანების განყოფილებაა, და გემიც იმ წამსვე შუაზე გადატყდა და ზღვის ფსკერისაკენ წავიდა ჰაერში მხოლოდ ორთქლის ქვაბების გახეთქისა და აფეთქების ყრუ ხმაურობა გაისმა. გემის მოსამსახურეების გარდა „პალუბაზე“ იყვნენ აგრეთვე წითელ ჯვარის სანიტარული რაზმის წევრები სულ გემზე იყო 278 კაცი ამათგან, როგორც ჯერჯერობით გამოირკვა დაღუპულია მხოლოდ 87 კაცი სანიტარულ რაზმის წევრებში ბევრი დიდკაცობა იყო: გრაფები, გრაფინიები, ბარონები, ბარონესები და სხვა ამ გვარი წარჩინებული გვარის პირები. უმეტესად, საუბედუროთ, გემის მოსამსახურეები და მუშები დაიღუპენ, რომელთა შორის 23—25 კაცი ფრანგი იყო. დაიღუპა ერთი ექიმი და რამდენიმე სათნოების და უჩვეულო ხმაურობაზე ნაპირიდან მალე მიაშველეს ბარქასები და ორთქლ მავალი კატერი, რომლებმა ბევრი წყალში ჩაყვინთული დახრჩობას გადაარჩინა ბოლოს ადგილზე რუსეთის ესკადრის ნაღმოსანიც და სამხედრო სატრანსპორტო გემიც მიიჭრა: ამათ ნაპირიდან მოტორიანი „კატერიც მიეშველა და ყველამ საერთო ძალღონით მტრის წყალქვეშა ნავის ხელში ჩაგდება ან განადგურება დააპირეს; მაგრამ წყალქვეშა ნავმა გაქცევით თავს უშველა; მას გამოუდგა რუსეთის ესკადრის ნაღმოსანი მაგრამ ამაოდ გადარჩენილები ბათუმში ჩაიყვანეს, სადაც ყველას ფულით დახმარება მისცეს და ადგილობრივ ჰოსპიტლებში მოათავსეს

ქრონიკა

რუსეთი.

ლოთობა პეტროგრადში

ჯერ მარტო ერთი დღის განმავლობაში პოლიციამ ქუჩაში 44 მდე მთვრალი კაცი დააკავა, რომელთაც 100 მ. ჯარიმა ანუ 1 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს

ახირებული განკარგულება

გაზეთ „ციმბირის ცხოვრებას“ ნარიმის მხრიდან სწერენ: „ტომსკის გუბერნატორმა ადმინასტრატიულათ გადმოსახლებულთა შორის მოქმედებისათვის, რაიცა სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წყობილებას დარღვევას ემუქრება, ადმინისტრატიულათ დასჯილი ჟურნალისტი სემეშკო ამავე გუბერნიის შორეულ სოფელში „ეტაპით“ გაგზავნა, სემეშკოს ნათხოვარი ჰქონდა, რომ მისთვის ნება მიეცათ საზღვარგარეთ გასვლისა; მინისტრის ნებართვაც მოვიდა, მაგრამ გუბერნატორმა სამინისტროს გადაწყვეტილებას ყურადღება არ მიაქცია და მოინდომა სემეშკო უთუოთ „ეტაპით“ გაგზავნოს ზემო ხსენებულ მიყრუებულ ჰაობიან სოფელში სადაც ადამიანის ხსენებაც არაა და სადაც მხოლოდ თავ მომაბეზრებელ პოლიციელთან ექნება მას მუდამ საქმე. ეს კი ვინ იცის რა უბედურებას შეამთხვევს მას ესეც თვითნებობის კარგი ნიმუშია.

ახალი სამხედრო მინისტრი

გენერალ შუაევს „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტისთვის უთქვამს „ჩემი მინისტრათ დანიშვნა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. მოქმედების პროგრამა მე ჯერ არც კი მომიფიქრებია; ან კი რა პროგრამაზე შეიძლება დღეს, ომის დროს ლაპარაკი! ჩემმა წინამოადგილემ მე ისეთი კარგი სამკვიდრებელი დამიტოვა, რომ ახლა მე მხოლოდ ის და დამრჩენია რაც შეიძლება კარგათ ვისარგებლო ხმით. რუსეთის ჯარების სულიერ-განწყობილება ფრონტზე ჩინებულია. ჩვენ უნდა ხელი შეუწყოთ მას სამხედრო მინისტრმა გამარჯვების პირობები შინაც უნდა შეჰქმნას; ამიტომ მე ვეცდები სახელ სათათბიროსთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთათ ვიმოქმედო ჩემი დევიზია: რაც შეიძლება ნაკლებ იალაპარაკე და მეტი გააკეთე პრესას მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევო, უთქვამს მინისტრს, ამიტომ ყველას ვსთხოვ, ვისაც კი რაიმე შეცდომა-სიყალბესთან ბოროტებას შენიშნავენ, ვინც უნდა იყოს, ამაზე დაუყონებლივ ცნობა მომცეს.

გადაყენებულ სამხედრო მინისტრის პატივსაცემლად

ქვეყნის დაცვის სავანგებო თათბირის წევრებმა გადაყენებულ სამხედრო მინისტრს, პოლივანოვს პატივისცემის ნიშნათ სადილი გაუმართეს, სადილზე ყოფილ მინისტრს მადლობა უძღვნეს: როძიანკომ, მილიუკოვმა, შინგარევმა და სხვებმა. ორატორები ყოფილ მინისტრის ხანმოკლე მოქმედებას ქებით იხსენებდენ და დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას აწერდენ: მათი სიტყვებიდან სჩანდა, რომ პოლივანოვი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ნდობით ეპყრობოდა, რისთვისაც მან საზოგადოების ყურადღება და თანაგრძნობა დაიმსახურა. პოლივანოვმა განაცხადა, რომ მისთვის ძნელია და აუტანელი ასეთ საყურადღებო დროს უსაქმოდ დარჩენა, ამიტომ იგი ეცდება საქმეში ისევ ჩაერიოს. სადილზე მონაწილეობა არ მიუღია მემარჯვენეთა ლიდერს, დეპ. მარკოვ მეორეს როგორც ამბობენ პოლივანოვი ჯერ, ვიდრე სახელ. საბჭოში მონაწილეობას მიიღებდეს, სამხრეთისაკენ დასასვენებლათ წავა; შემდეგ კი ის სახელმწ. საბჭოს დამოუკიდებელ ჯგუფში ჩაწერას ფიქრობს.

როგორც პარიზიდან [illegible]
ვანოვს სამსახურიდა გასვლა ფრან
სთვის მოულ[illegible]
აღნიშნავს, [illegible]
ნოვმა მოკავშირეებს

პრესის მაგიერ.

დიდი ხნის მელაკუდობისა და ა
მრუდობისა „მეგობარმა“ ხმა ამ
ცისფერი ქადაგების“ შესახებ და
დანერწყვილს ნელ-ნელა თავისივე
აშრობს, ე. ი. უარსა ჰყოფს იმას,
მხარი დაუჭირა და „მეგობრის“ რო
მა საქციელმაც მთელი ქუთაისი აღა
თა, განურჩევლად მიმართულებისა.
ლეთ სხვათა შორის მათ თანამო
ბ-ნ ჯაფარ-ფაშის წერილი „სამშობ
ში“)

ასეთი დიდი ძალა აქვს საზოგადო
აზრს და ჩვენ მოხარულნი ვართ,
ამ აზრმა გასტეხა ფედერალისტების
ტობაც კი!

რაც შეეხება „მეგობრის“ ქა
დაცემას და ჩვენი გაზეთის წინააღმდ
მოლაშქრებას, ეს გვაგონებს უკან
სისინს თავში დარტყმულ ქვეწ
ლისას და ამიტომ ყურადღების
სუხის ღირსად არ მიგვაჩნია.

ახალი ამბავი.

ქუთაის

კვირას, 27 მარტს, ქუთაისის
ნინოს სახელობის საქალებო სას
ლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებ
ამავე სასწავლებლის შენობაში გა
თება სალამო—წარმოდგენა, ითამ
ფულდის პიესას, „სულელს“.

ამ წარმოდგენას ისეთი სიმპატი
ზანი აქვს დასახული რომ იმედია
ველი საზოგადოება ბლომად დ
და მით არა ერთსა და ორ მ
ქალიშვილს საშუალებას მისცემენ
ლის განგრძნობისას.

სალამოს გამგეთა და მომწყობა
ქ-ნი ოკიშორი.

◆ მეფის ნაცვლის სამოქალაქო
ლის თანაშემწის ორლოვისაგან ქუ
გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძ
მა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგი
მიიღო მეფის ნაცვლის კანცელარი
მ. ხ თ-დო დავით ოტიას ძევ! თა
მეფის მოადგილის ბრძანებისა, თბი
ამა წლის 26 აპრილს დაიწყება სხ
კავკასიაში ეროვნის შემოღების სა
დასამუშავებლათ, რომელზეც უნდა
წროთ თქვენ და ქუთ. გუბ. თავ აზ

იასამანი.

(მოთხრობა)

შევიმჩნიე თუ არა, ზეზე წამოვდექი. საერთოდ, კარგია ადრე ადგომა, მით უფრო გაზაფხულზე ძილი ისევ თვალებში მედგა, როცა სასწავლებლის ბაღში გამოვედი. ჩვენი ბაღი არც ისე მდიდარია მცხოვრებლებით: ერთი ნეკერჩხალი ამართულა შუაზე, ჰყვავილობს, ასე მგონება, მტევნები მოუპამსო; ამ ბატონისათვის წრე შემოუვლიათ იასამნის ბუჩქებს, თითქოს სდარაჯობენო; გარშემოც ღობის ნაპირებზე იასამანია მიყოლებული; არის ერთი ვარდის ბუჩქიც, მაგრამ იმაზე ყვავილი არავის უნახავს: როგორც მოუბამს პირველი, მაშინვე მოუგლეჯიათ და იგიც თავს აღარ იწუხებს. არის აგრეთვე რამოდენიმე ბზის ბუჩქი, მაგრამ ისე დაკვაბზული და სხვა მეზობლების ჰერ-ქვეშ შემძვრალი, რომ იმათზე ლაპარაკიც მეტია. თვალს ყველაზე უფრო იასამანი ჰხვდება ნეკერჩხალს ვინ მიაქცევს ყურადღებას, შიგ რომ არა ჰყრიარა!

ამ უკანასკნელ ხანებში ვატყობდი, რომ იასამანი ჰყვავილობდა, მაგრამ სხვაც ბევრი რამე იყო ბუნებაში გაზაფხულის ნაფეშქაშევი და იმათ სინჯვა დაფასებაში ვიყავი გართული. თუმცა სიო სრულებით არ ჰქროდა, მაგრამ დილის სიგრილემ მაინც გაფანტა ძილი ჩემი თვალებიდან, თითქოს თავი უნდოდა მოეწონებინა თავისი სიმშვენიერით. მართლა, რა მშვენიერი იყო დილა! მაისის დილა, როცა ქარი არ ჰქრის და წვიმა არ სცრის, ვინ არ იცის რო მშვენიერია! მზის სხივებიც ელავდენ ჰაერში, ბულბულიც სადღაც გალობდა, ვარდიც სადღაც ჰფშვენდა, მაგრამ ბაღში სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. რაღაც საიდუმლო მოლოდინი გამოიხატებოდა ამ უძრავ მყუდროებაში!

იასამნის ბუჩქები კი დახუნძლულიყვნენ ყვავილებით, თავები ძირს დაეხარათ და უმანკო ცრემლები სდიოდათ! ალბად, სიხარულის ცრემლები, რომ ასეთი ბაღისა და ასეთი დილის შვილები იყვნენ. სიხარბით ვისუნთქავდი საამო სურნელებით შეზავებულს დილის ჰაერს, მკერდი ადი-ჩამოდიოდა, ვგრძნობდი, რომ ძარღვებში სისხლმა დაიწყო ჩქეფა ადრინდელზე უფრო მძლავრად, გამოუთქმელ სიტკბოებას განვიცდიდი, ჩემი ფიქრი იასამნის სილამაზეს ექსოვებოდა და მეც ვგრძნობდი თავს უდარდელად.

დრო იყო წავსულიყავი და პირი დამებანა. წასვლის წინ ადამიანის ჩვეულებისამებრ გადავწყვიტე მომეგლიჯა ყვავილები, შემეკრა თაიგულად და სალამაზოდ ხელში დამეჭირა. დავაპირე რა ჩემი განზრახვის სისრულეში მოიყვანა, მცირედ ჩავფიქრდი: „კარგი, მე შევკონე, ვსთქვათ, თაიგული. რამოდენიმე ყვავილი, მართალია, დიდი დანაკლისი არ იქნება ბუჩქისთვის, მაგრამ რომ შეხედავს სხვა ჩემს მაგალითს, მიბაძავს; მიმბაძველს სხვა მიმბაძველი გაუჩნდება და ბაღი სულ გაჩანაგდება. სხვა ამას არ დაგიდევს, მაგრამ ჩემი ბრალი მაინც არაფერი იქნება. მე გულდამშვიდებულათ შემიძლია ვიყო!“. ერთი შევხედე კიდევ მზით აფერადებულს ყვავილებს და გავემართე პირის დასაბანათ.

წირვის დრო იქნებოდა, მეორედ გამოვედი ბაღში. მზეს სრულებით მოეშრნა დედა მიწის გულ-მკერდი და გამარჯვებული ცაზე თამაშობდა ფუტკრები ეხვეოდენ ყვავილებს, შოშიები დაჭიკჭიკობენ—გაისმოდა ერთი გუგუნი ეზოში გამოფენილიყვნენ ჩემი ამხანაგი—მოწაფეები. კვირა დღე ყველას უხაროდა: თან ასეთი მშვენიერება და თან თავისუფლება! აგერ მოდის ორი ყმაწვილი, სახე გაბრწყინვებიათ და ხელში იასამნის კონები უპყრავსთ. იცინიან და ლაზღანდარობენ, ოცნებობენ; როგორ მიიქცევენ ქალების ყურადღებას, როგორ უძღვნიან ყვავილებს იმათ, სიყვარულისა და სიტკბოების სიმბოლოდ. ყვავილები ხელში თუმცა თავს იმაგრებდენ, სუნს აფრქვევდენ, მაგრამ მაინც ეტყობოდათ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდათ. ცისფერი თვალები ეხუჭებოდათ თავები ძირს ეხრებოდათ. მაისის მზის სხივები, აქამდის რომ დედის ძუძუობას უწევდენ, ეხლა სამარისაკენ მიაქანებდენ საბრალო ყვავილებს, და თითოეული მათგანი თითქოს ამბობდა:

ადამიანო! რისთვის შეგშურდა
ჩემი ცხოვრება უმგლოვიარო?
რისთვის მომგლიჯე ულმობელ ხელით,
ჩამომადინე ცრემლების წყარო?
რა იქნებოდა, სიცოცხლით სავსე
ისევ ჩემს ბუჩქზე ვყოფილიყავი?
შენ ხომ შეგეძლო სულით და გულით
ჩემის მშვენებით დამტკბარიყავი?
არ შემიბრალე, დედას მომგლიჯე,
მომისპე ლხენა, მომიკალ გული
საამურ ჰანგებს აღარ დამღერებს
ჩემს უმანკო მკერდს აწი ბულბული!
ცხოველი ნამი ჩემს ლამაზ ფურცლებს
შემდეგში აღარ დაეწვეთება
და მაისისა ღამის სიგრილე
განმაცოცხლებლად არ შემეხება!...

დავუწყე რწმუნება ამხანაგებს, რომ არ არის კარგი ყვავილების დაგლეჯა, მთელი ზამთარი უგროვებია მცენარეს საზრდო-საბადებელი, რომ გაზაფხულისთვის კარგად მორთულიყო და ეხლა რომ ჩვენ [illegible], ხომ ჩვენის მხრით ეს სიმ[illegible] რათ ვიქცევით, როცა შეგვიძლია განათლებულებივით მოვიქცეთ?...

ყვავილსაც ისე, ვით ყვავილს სულდგმულს,
მეტი იცოცხლოს, აქვს ეს სურვილი,
მაგრამ უდროოთ დღეებს უმოკლებს
მას ულმობელი ადამის შვილი.
მხოლოდ იმიტომ, რომ წამით დასტკბეს
და შეიმატოს მან სილამაზე,
მის ხელთ რომ იყოს, ასე მგონია,
რომ ვარსკვლავებსაც დაკრეფდა ცაზე.
ადამიანებს თვალში აქვთ ჰკუა,
ჰკუა მოკლე და საგინებელი,
და ამ ჰკუასა მსხვერპლად ეწირვის
მშვენიერება სალმერთებელი!“

მაგრამ ჩემ სიტყვებს იმათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. „ოჰ, ერთი შენ მოგვცლიაო და!... სხვიდანაც ისეთ პასუხს მოველოდი და ამიტომ დანაღვლიანებული გავშორდი სკოლის ეზოს. ფუტკართა გროვასავით მოედვენ ყმაწვილები ბაღს და დაუწყეს ულმობლად გაჩანაგება.

მზე რომ გადაიხარა, აგრილდა: მტვერი მცირედ ადიოდა ქუჩებს, ქალაქში გამოვედი გასასეირნებლად. ურმებს ხრიგინ-ხრიგინი გაჰქონდათ, კამეჩი გამოშვებულიყო ურმიდან და თავ-ქუდ მოგლეჯილი გამორბოდა. რამდენიმე ვაჟი და ქალი „ველოსიპეტზე“ შემსხდარიყვნენ და ასრიალებდენ, ხელში იასამნის კონები ეპყრათ და მხარდამხარ მიმქროლარენი ერთი მეორეს ცხვირთან მიუტანდენ ხოლმე.

ეს სულ ჩვენის ბაღიდან არის გატანილი, აქ სხვას არავის აქვს ასეთი ყვავილები! მიიღო ახალგაზდა ქალმა ცხვირთან იასამანი, ალბად, აღარ მოეწონა და წინ, შორს ამტვერებულ ქუჩაში გადასტყორცნა. ამოიკანგლა მტვერში მკვნარი ყვავილი, გადისრიალა მასზე, „ველოსიპედმა“, გაიარა ეტლმა, მისმა ბორბალ
იხვია ზედ წვენ გადენილი ყვავ
გაატაცა, აქეთ-იქით მიაბნ-მოაბნია,
წია ქალს ყმაწვილი, უძღვნა ახალი
ქალმა მოხდენით თავი დაუკრა,
ტუჩი აიბზუა და ყმაწვილი, რომ მი
მოიქნია და გვერდზე გადააგდო ყვ
მღვრიე წყლიან თხრილში მოიყო
ნი და უწყოდ დაგდებულ უბრალ
ფოტიეთ გაჰყვა ტალღებს, რომე
ყოველი უწმინდურება იყო თავ-მოყ

სალამოს, როცა ჩრდილები წა
აღმოსავლეთისაკენ, ისევ მივედი
მზე ჩასვლას ლამობდა და უკანა
აფერადებდა გაზაფხულის ბუნებას
ლები საამურად შრიალებდენ,
ისევ მშვენიერი იყო, მაგრამ აღარ
და შვენება ბაღს. იასამნის ბუ
ყვავილს ვეღარ ნახავდი, თითქოს
შემოსევია და ყველასათვის თავები
ყრევინაბიაო.

დაჩაჩქილი ხის სუნი ჯერ კიდევ
და ყვავილის საამო სუნს. დაუბე
ღამის გრილმა სიომ, მოიტანა
ტყიდან ბულბულის ტკბილი სტვენ
მინა მომხიბვლელი ხმები ისამნის ბ
და თავისი ფრთებით განდევნა ბა
ყოველივე მოგონება დილის ნამზე
ფურჩქნულ ყვავილებისა.

მე ასე მემართება ხოლმე ყოვე
როცა ვხედავ რამე კარგს ბუნების
სრულის სულითა და გულით მინდ
ტკბე იმით, მაგრამ ჩემ თავს ნებ
ვაძლევ მოვუსპო მას სიცოცხლე.

ისედაც ხომ შეიძლება მოვიხმარო
და მაინც და მაინც ხელში არ დავ
და გულზე არ მივიკრა, რა იქნება
რომ შემხედავს, რას იტყვის? თუ ა
ეცოდება ყვავილები, მე რათ უნდა
ცოდოსო? და მოსწყვიტავს, მოსპობ
ულმობელად! მე თუ არ მოვსწყვიტა

მოდგენილი. ამ თათბირის მიზანია მოს კავკასიაში ერობის შემოღე- კანონპროექტი, რომელიც წარედგი- სახელმწიფო სათათბიროს გასარჩე- წელსვე, ამიტომ გთხოვთ, თქვენო ნალებავ, მიიღოთ მონაწილეობა ბირში და შემატყობინეთ მე და ქუ- ის გუბერნატორს ქუთ. გუბერ. თა აზნაურობიდან არჩეული წარმომად- ლებით გუშინწინ საღამოს უკვე მო- ა ამის შესახებ კრება თ მა დ. ო ნი ძე მაგრამ, სამწუხაროთ, კრება არ დგა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის ო.

◆ სულით ავადმყოფთა საავად. გამგე ოვს ქალაქის გამგეობას, აცნობოს ამ დ სანოვაგის ფასები იმ სიით, რომე ც მან წარუდგინა გამგეობას.

◆ ამ ჟამად ოზურგეთის ქალაქის თვით- ველობა იმუშავებს სავალდებულო დგენილებას მოხელეთა წესიერ დასვე- ის შესახებ.

◆ ქალაქის გადამდებ სენიანთა საავად- ფოს გამგე ექიმი დადუნაშვილი სთხოვს ლაქის გამგეობას,— მიიღოს ზომები არეულობისა და სარეცხი ოთახის გასა ებლათ, რადგან ამ დღეებში დასრულ ბა საავადმყოფოს შენობა. ამასთანავე ნობებს, რომ გადამდებ ავადმყოფთა ის და დანიშნული ეტლი უვარგისია საჭიროა შეკეთებაო.

◆ დღეს საღამოის მატარებლით ქუ- ისში ჩამოვლენ: გუბერნატორათ ნამ- ფი კამერ იუნკერი ბ ნი პოტულოვი ახლად დანიშნული გრაფი გუდოვიჩი.

◆ გუშინ, დღის 12 საათზე ყ-დ სამ დელო იმერეთის ეპისკოპოზმა გიორგიმ გილობრივ საკათედრო ტაძარში გადა- და პანაშვიდი ამას წინად გემ „პორ- ტუგალიაზე“ დალუპულთა სულის მოსა- ხსენებლათ. პანაშვიდს დაესწრენ თავად აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო ბარაძე, კომერც. სასწ. დირექტორი ტილევსკი და სხვა პირები.

◆ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ფ. წყალტუბოს მცხოვრები ელისაბედ თელაძისა (60 წლის) 18 ამ თვიდან აისისკენ წამოსულა და მის შემდეგ არ დაბრუნებულა, მის შესახებ, თუ მე რამეს შეიტყობს, სთხოვენ აცნო ნ ქუთაისში თ. კუჭავას საკანდიტროში

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჟურნალ ხოვრების'' № 6 ჟურნალი მეტად ში- არსიანად არის შედგენილი და სხვათა რის მოთავსებულია სადღეისო, ერობა, მდელისა უპატრონო აჭარა ,,სტორო- ნი'' და სხვა.

◆ გუშინდელ ჩვენი გაზეთის ქრონი ში შეცდომით არის მოთავსებული ცნობა კაკიტელაშვილის 500 მან დაჯარიმების შესახებ. კაკიტელაშვილი წინათ იყო დაჯარიმებული გუბერნატორისაგან, ხოლო ჯარიმის გადახდა საქმის გამოძიებამდი შეჩერებულია

◆ ეკლარის ქვის მოსატეხათ წელი მოიჯარადრეები 800 მან იჯარას აძლევენ ქ. გამგეობას.

◆ ორშაბათს, 28 მარტს, მოხდება ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა რწმუნებულების თათბირი, რომელზეც გაარჩევენ, სხვათა შორის, ქ. ქუთაისის სანოვაგის მოსაწყობათ სესხის აღების საკითხს

◆ რაჭის მაზრის ექიმი თ-დ გელოვანი დეპეშით ატყობინებს საგუბერნიო საექიმო ნაწილს, რომ 19—22 ს. გლოლაში გამხდარ ავათმყოფთაგან მოკვდა ორი მორჩა 6. ამ ჟამათ 6 კაცია ავათ.

◆ ქუთაისის საკრედიტო ბიურომ შეიძინა საჭირო წიგნაკები და ბლანკები ამხანაგობებისათვის დასარიგებლათ. წიგნაკები ყველა წევრს შეუძლია მოიკითხოს ადგილობრივ წვრილი კრედიტის ამხანაგობათა სამმართველოში.

◆ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის დაბალ მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის რწმუნებულთა წინაშე, რომ მათ მოემატოს რამდენიმე პროცენტი ჯამაგირზე ცხოვრების გაძვირების გამო.

◆ ქუთაისის გუბერნიის საექიმო ნაწილის სამმართველომ დაუგზავნა ქუთ გუბ. ყველა არსებულ აფთიაქის გამგეთ შინაგან სამინისტროსაგან დამტკიცებული ნიხრი წამლებზე.

◆ საგუბერნიო ექიმი ტერტეროვი, მისი თანაშემწე შენგელია და კავკასიის საექიმო ნაწილის სამმართველოს რწმუნებული ვიხრევი უკვე დაბრუნდნენ ტყიბულიდან როგორც გადმოგვცეს შავი ჭირით ავადმყოფობა საგრძნობლათ შემცირებულა.

◆ ლექციები პროვინცაში. ახალგაზდა ლექტორი გრიგოლ მ. ხაინდრავა ამ კვირაში წაიკითხავს სახალხო ლექციას შორაპნის მაზრის სხვადასხვა თანამედროვე მსოფლიო ომზე.

◆ ქუთაისის ვიცე გუბერნატორმა ნება დართო თბილისის ქარ. შ წ კით გამავრცელებელ მთავარ გამგეობას გახსნას და შეინახოს მისი ხარჯით ს. მუხურაში (ზუგ. მაზ) უფასო წიგნ საცავ სამკითხველო ადგილობრივ მცხოვრების ერასტი პავლეს ძის როდანაიას პასუხის მგებლობით.

◆ მწვანე ბაზარში უ. ს. ქიტნიცკისთვის ამოუცლიათ ჯიბიდან საფულე, რომელშიდაც ფულათ 1050 მან. და სხვადასხვა საჭირო საბუთის ქაღალდი ყოფილა ეჭვით დააპატიმრეს ა. ჩიკვაშვილი.

◆ ქალაქის თვითმართველობამ ქალაქს აცნობა პირველ დაწყებით სკოლის გამგეობას ა. ოდიშარიას, რადგანაც მას ქალაქიდან ეძლევა ბინის ქირა 300 მ. და ის კი სასწავლებლის შენობაში ცხოვრობს, დასცალოს სასწავლებლის ბინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბინის ფული არ მიეეცემაო

ება ვინმემ წამბაძოს და ადრე და მალე გავანადგუროთ მშვენება ბუნებისა... გრამ ეხლა რას ვხედავ? მე არ მოვ- წყვიტე, სხვამ მოსწყვიტა... ჩემი თვალ ნრისით არავინ შეხედა ამ საგანს. ყვე- ა ამას ამბობდა: მე არ მოვსწყვეტ, სხვა სწყვეტს და ბოლოს და ბოლოს მე ვრჩები დაუკმაყოფილებელიო ..

რომ ასე არ გვესაჯნა, რომ თითოეულ ჩვენგანს ხელი აელო ულმობლობაზე და უფრო ღრმად ჩაეხედა საგანში, ჩემი ბა- ისევ ყვლთადმი სავსე იქნებოდა ყვა- ლებით და იმ ვარსკვლავებს, ცაზე რომ დიან, სილამაზეში შეეჯიბრებოდა და თვის ეშხით დასწვავდა. ჩამოუყრიათ ყუ- ები საწყალ ბუჩქებს, ფიქრს მისცემიან ორესა ამ ქვეყნიურ მტაცებლობაზე, რა ც გრძნეულად შრიალებენ, ნეკერჩხალს უქნევენ, თითქოს ევედრებიან: ერთს, ღმერთს გაგებინე ჩვენი შვილე- ჩვენი ძუძუებიდან მოგლეჯაო!... ნე- რჩხალი შტოებს ხრის და რაღაცას ურჩულება ჩემს გაზვიადებულ სმენას ყრუდ ესმის ბუჩქების ამონაკვნესი. მერთმა მოგკითხოსთ, რაც ჩვენ თქვენ გვაყენეთ, ადამიანებო! ღმერთმა მოგ- თხოსთ!... შეეხო სიო იმათ გატანჯულ ულ-მკერდს და გაისმა ოხვრა. ბუჩქებს უბარების ცრემლი ჯერ კიდევ არ შე რობოდათ. იგი ავის მომასწავებლად ანთავდა მთვარის ჯერ კიდევ მკრთალ ივებზე, დავჩერებოდი გაჩანაგებულ ბაღს გული მილონდებოდა ცოტა ხანს ვუყავი ასე, გული ბოღმით ამევსო, ამ ოებში თვალის დასანახავათ შემძაგ- ენ ადამიანები, ველარ მოვითმინე და ვის სანუგეშებლად წამოვიძახე: ,,კიდევ რგი, რომ მე მაინც არ მაქვს ბრალი უსამართლო საქციელშითქო!.. და ულ-დამშვიდებული გავეშურე შინისაკენ

სავლე აბულაძე.

ვერდენი.

თვე ნახევარია რაც მთელი ქვეყნის ყურადღება საფრანგეთის შესანიშნავ ციხე ვერდენზედაა მიქცეული. ვერდენი, ვერდენი და ვერდენი!.. ყველა პოლიტიკოსთ და სამხედრო ხელოვნების ავტორიტეტთ ეს სიტყვა აკერიათ პირზე.

ეს არც გასაკვირალია ეს სახელი შეიცავს ამ უმაგალითო ომში დიდს პოლიტიკურსა და ზნეობრივ ღირებულებას.

გერმანიამ ამ ციხის საწინაალმდეგოდ 7 თებერვალს დაიწყეს მოქმედება მოქმედება ჩვეულებრივად ძლიერი, სასტიკი და მომზადებული. მართალია გერმანელებს დღემდე გადამწყვეტი შედეგისათვის ვერ მიუღწევიათ, მაგრამ ეს კიდევ იმათს დამარცხებას არ ნიშნავს. ბევრი სხვა და სხვა აზრი არსებობს ვერდენის ოპერაციის გარშემო, მაგრამ ერთი კი ყველასათვის ნათელია. ორივე მებრძოლმა მხარემ დიდი სიძლიერე, ნებისყოფა და ნევრების სიმაგრე გამოიჩინეს. ორივე მხარე დიდს ზეკაცურ მხნეობას ხმარობს გერმანელები, მოქმედებაში ბევრი ეძებდა დასუსტებისა და დაუძლურების ფაქტორს, მაგრამ როგორც თანდათან იკვლევა აქ დასუსტებაზე ლაპარაკი ნაადრევია, და თუ გერმანელებმა შესცვალეს თავის მოქმედების ტაქტიკა, ეს ამტკიცებს მხოლოდ მას, რომ მათ ცოცხალი ანგარიში გაუწიეს შესაძლო-შეუძლებლობის საკითხს, და ციხის მეთოდიურ თანდათანობით დაძლევაზე გადაიტანეს თავისი მოქმედება.

ვერდენი საფრანგეთის ისტორიაში მუდამ დიდ როლს თამაშობდა. თითქმის ყველა დიდი ომები და საფრანგეთში შესევა ვერდენის რაიონს ვერ ასცდებოდა და ყოველთვის მტრის ძლიერება მის მაგარ ზღუდეებზე იმსხვრეოდა ამ საკაცობრიო ომშიაც, მარნასთან სასტიკი ბრძოლის დროს ვერდენმა დიდი და დაუფასებელის სამსახური გაუწია საფრანგეთს და მის დედა ქალაქს პარიზს.

მრისხანე ლაშქარს გერმანელებისას მარნაზე ბრძოლის დროს, ვერდენის ციხე უკან დარჩათ და ამ გარემოებამ აიძულა ისინი წინსვლაზე ხელი აელოთ და უხერხულ პირობებში უკან დაეხიათ, და თუ ამ უკან დახევის დროს გერმანელების ჯარი კატასტროფას გადაურჩა, ეს მიეწერება მათი სარდლების მეტად განვითარებულსა და გენიალურს მოქმედებას. მთავარ სარდალმა ფონკლუმა შესძლო მასის მაღლობებზე შეჩერება გამაგრება სადაც ეს მეთვრამეტე თვეა უკვე სდგანან.

ვერდენზე მიდის ორი ლიანდაგი პარიზისკენ

საფრანგეთის პრესა, როგორც ეს გაზეთებიდან სჩანს დიდის დაკვირვებით ეხება საქმეს. ის ყოველ მხრივ იკვლევს ვერდენის ოპერაციას და ნათლად ითვალისწინებს მისი დაკარგვის შედეგს, ამიტომ ერთხმად მოითხოვს ვერდენის უკიდურესობამდე დაცვას და შენარჩუნებას. ვერდენის ოპერაციამ ყველა სკეპტიკებს გამოაფხიზლებია ყურები. ყველა დარწმუნდა, რომ გერმანია ჯერ კიდევ ძლიერი და საშიში მტერია. ყველა გრძნობს, რომ ვერდენის ოპერაცია მხოლოდ დასაწყისია იმ დიადი ბრძოლისა, რომელსაც გერმანელები ესწრაფვიან დასავლეთ ასპარეზზე.

ვერდენის მაღლობებს გერმანელების პოზიცია სამის მხრით ეკვრის. მათ უკან აქვთ მშვენიერი გზები, რომლებიც ასე ხელს უწყობს არტილერიისა და მასალის მოზიდვას. გერმანელებს აქვე მახლობლად აქვთ ციხე მეცი, რომლის არსენალიც ითვლება ერთ უუმდიდრესთაგანად მთელს ქვეყანაზე სამხედრო მასალის მხრივ. გერმანელებს შეუძლიათ თავისი მძიმე არტილერია სწრაფის მანევრებით სხვა და სხვა მხარეს მიმართონ და აახმაურონ. ვერდენის დაკარგვით, მართალია საბოლოოდ არა სწყდება საფრანგეთის ბრძოლის ბედი. ამ ციხიდამ პარიზამდე კიდევ დიდი მანძილია და ფრანგებს არა ერთ ადგილას შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ამით ვერდენს თავისი მნიშვნელობა არ ეკარგება. ვერდენის მაგარი პოზიციები, რომ მტერმა დაიპყროს შემდეგ მისი გამოდევნა ამ სიმაგრიდამ მეტად ძნელი იქნება და საფრანგეთიდამ კიდევ უფრო დიდ მსხვერპლს შეიწირავს. ამიტომაც არის, ნაწილი პრესისა უკმაყოფილებას აცხადებს, რომ საფრანგეთი მარტო ვერდენს იცავს და სხვა მიმართულებით მტერს არ უტევენ, რომ ამით ვერდენსაც საქმე გაუადვილონ და გერმანელებიც შეავიწროვონ.

მაგალითად პოლკოვნიკი რუსელიე კითხულობს: რად სდუმს საფრანგეთისა ბ ინგლისელების ბრძოლის პირი იმ დროს როდესაც ვერდენთან ასეთი ტიტანისტური ბრძოლა ვითარდებაო მაგრამ ამის მიზეზი იცის, ალბად, ჟოფრმა და თავის გადაწყვეტილებაში ყველას რჩევასა და სურვილებს ვერ მიაღწევს.

ვერდენის ოპერაციამ გაჰფანტა ოცნება საქმის იოლად მოგებისა. საფრანგეთმა იგრძნო სერიოზული მომენტი და თავი ღირსეულად გადასდევა სამშობლოს დასაცავად.

„ჩვენმა მტრებმა გამოიწვიეს საბრძოლად მთელი სამყარო—სწერს სენატორი ემბერი. მოკავშირეებმა შეუკრეს მას გზა. მოსწყვიტეს ქვეყნიერებას. მათი საშუალებანი განსაზღვრულია ურიცხვი დაბრკოლება ელობება მათ ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მაინც მათი მხნეობა არაფრის წინაშე ქედს არ იხრის... პატივი ძლიერთ!.. დიდება მათ, ვისაც ძალუძთ გამბედაობა და მოქმედება!..

„არა - სწერს იგივე სენატორი ემბერი — ჩვენს შორის არ უნდა იყოს მოშიშარი და ზანტი. წინ შევეგებებით აუცილებელ სინამდვილეს. გერმანელების მძიმე ზარბაზნების გრიალმა გამოაფხიზლეს ჩვენი მოდუნებული ენერგია. მადლობა ვუთხრათ მტერს, რომელმაც თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო ფერფლ გადაყრილ ნაკვერჩხლის ხელახლად გაღვივებას!..

ასეთია ვერდენის ბრძოლით გამოწვეული ენტუზიაზმი. ეს ბრძოლა უეჭველია დიდ საკითხს სწყვეტს დღევანდელ მსოფლიო ომში!..

ჯაფარ—ფაშა.

დავკარგე

სადმელსა და ქუთაისის შუა ექვსი ვექსილი 2000 მანეთის [illegible] უბრალო ბარათი 200 მანეთისა. მპოვნელი ამ საბუთებ [illegible] გებლებს, ამიტომ ვსთხოვ წარმოადგინოს „სამშობლო''-ს რედაქციაში, რისთვისაც მიიღებს ჯილდოთ 200 მანეთს.

3—2—106 ნიკოლოზ ვლადიმერის ძე თ-დი **იაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩინარი, მაგრამ დიადი საქმე

დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ისე უკუღმართად არის დაყენებული, რომ სწავლა განათლების მსურველთა დიდძალი უმრავლესობა არა საშუალო განათლებას, პირველ დაწყებით სწავლასაც მოკლებულია. სწავლა ცოდნით შეიარაღებას მოითხოვს საზოგადოების ყველა წევრისაგან, რომ ღირსეულად შეხვდეს არსებობისათვის ბრძოლას და გადალახოს ათასგვარი დაბრკოლება, რომელიც მას წინ ელობება ამ ბრძოლაში.

აი, ამ სხვადასხვა მძიმე პირობის წყალობით, განათლება-განვითარების გარეშე დარჩენილთა მოსარჩლედ და გზის მაჩვენებლად გამოდის თანამედროვე ცხოვრებაში ერთად ერთი დაწესებულება, „სახალხო უნივერსიტეტი“.

ეს, მართლაც, ერთად ერთი სახალხო დაწესებულებაა, სადაც სხვა და სხვა დარგის მშრომელ განვითარებას მოკლებულ ხალხს, დღიურ უანბანო მუშას საშუალება ეძლევა, თვალები გაახილოს, ავი და კარგი იცნოს ეს მშრომელი ხალხი იბრძვის თავის პიროვნების განსათავისუფლებლად. თუ მას რაიმე საკაცობრიო იდეალი აქვს, მოვალეა სახალხო უნივერსიტეტისადმი გულწრფელი სიყვარულით, მეტის ყურადღებითა და პატივისცემით ალიპყროს. სხვა ჩვენზე განათლებულ ქვეყნებში სახალხო უნივერსიტეტს საკმაოდ ფართო სამოქმედო ნიადაგი აქვს მოპოვებული და იქ მას ჯეროვანი ყურადღებითაც ეკიდებიან. (მაგალითისთვის წაიკითხეთ ბ ალ. გარსევანიშვილის წერილები „სახალხო უნივერსიტეტი და საგლეხო სკოლა შვეციაში“ დაბეჭდილი გაზეთ სამშობლოს თებერვლის ნუმერში) იმ შვეციაში, სადაც პირველ დაწყებითი სწავლა ყველასათვის უფასოა, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ სახალხო უნივერსიტეტის არსებობა, მხოლოდ ჩვენში, სადაც პირველ დაწყებითი სწავლა არა თუ უფასოა, მათი საკმაო რიცხვიც კი არ მოიპოვება რა თქმა უნდა უფრო საჭიროა სახალხო უნივერსიტეტი.

თუ მშრომელი ხალხი თავისის უკეთესი მომავლის დასამკვიდრებლად იბრძვის, როგორც ზემოთაც ვსთქვით, მოვალეა მეტი ანგარიში გაუწიოს სახალხო უნივერსიტეტს.

ამ წერილში ჩვენ ვლაპარაკობთ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტზე, რომელსაც ხუთი წლის ისტორია აქვს, და რომლის უჩინარ, მაგრამ ფრიად ნაყოფიერ მოქმედებასაც მკითხველებს მოკლედ აქვე გავაცნობთ

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა მოქმედება დაიწყო 1910 წელს, 31 იანვარს. ამ ხუთი წლის განმავლობაში მისი მოქმედება დაახლოვებით ასეთი იყო:

პირველ ხანს ამ დაწესებულებას სათავეში უდგა 15 კაცისაგან შემდგარი გამგეობა, მხოლოდ ბოლოს სხვა და სხვა მიზეზის გამო გამგეობის წევრთა რიცხვი ისე შემცირდა, რომ დარჩა 6—7 კაცი, მაგრამ ამ მოვლენას გამგეობა ოდნავადაც არ დაუფიქრებია და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ სახალხო უნივერსიტეტის იგივე სახალხო სკოლის საქმე, როგორმე კარგად წაეყვანა და მით შეესრულებია პირნათლად თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე გამგეობის მოქმედება უმთავრესად იხატება საჯარო ლექციების კითხვის გამართვაში კვირაობით, სხვა და სხვა დარგის მშრომელ ხალხისთვის საღამოს კურსების მოწყობასა და მის ხელმძღვანელობაში.

საღამოს კურსები დაარსდა 1912 წ. აქ სწავლობდნენ ხელოსნები მათი შეგირდები, ნოქრები და სხვა ჯურის მოსამსახურეები.

სწავლა სწარმოებდა კვირაში სამჯერ.

საღამოს კურსებს ხელმძღვანელობდა განსაკუთრებული სექცია, რომლის სათავეშიც იდგას ქ-ნი ელენე ხელთუფლიშვილი. ბევრი შრომა და ენერგია დასჭირდა სექციას, რომ საქმე რიგიანად მოეწყო, მაგრამ მან ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა და მიზანსაც მიაღწია.

მსმენელთა რიცხვი თანდათან მრავლდება.

კურსებზე ლექციები იკითხება: ქართულ ლიტერატურიდან, ქართულ ისტორიიდან, მსოფლიო ისტორიიდან, კანონმდებლობაზე, გეოგრაფიაზე და ბუნების მეტყველებაზე;

კურსებზე მაკადინობის ფულს არვინ იხდის.

სახალხო ლექციები.

სახალხო ლექციების მოწყობის საქმე სწარმოებდა კვირაობით ბ ამ სექციის მოთავეობაა დაეკისრა ბ. ალ. ალ. გარსევანიშვილს, იგი თავმჯდომარეა გამგეობისა და ამავე დროს ლექტორიც...

ქვეით ლექციების აღნუსხვის ჯამიდან, მკითხველი დაინახავს, თუ რა მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ბ. ალ. გარსევანიშვილი ლექციების კითხვაში.

ხუთი წლის განმავლობაში წაკითხულ იქმნა საშუალოდ 192 ლექცია (უმეტეს წილად იკითხებოდა ორ ორი ლექცია).

წაკითხულ ლექციებს სულ დაესწრო 36,529 მსმენელი ქალ-ვაჟი.

ლექციების კითხვაში მონაწილეობა მიუღია 33 კაცს მათ შორის აღსანიშნავია ჩვენი სულმნათის დიდებული მგოსნის აკაკის ლექცია, რომელმაც წაიკითხა „საქართველოს ძველ ნიშნებზე“. აკაკის ლექცია მოუსმენია 720 ქალს და კაცს.

ლექტორები საერთოდ დიდის ხალისით ეკიდებოდენ საქმეს, როცა დრო და გარემოება ნებას აძლევდა მათ, ისინი დაუზარებლივ გულწრფელად ზრუნავდენ სახალხო უნივერსიტეტის წარმატებაზე

აქვე მოვიყვანთ ისეთ ლექტორების გვარს, რომელთაც წაუკითხავთ არა ნაკლებ ორი ლექციისა.

1. ალ. გარსევანიშვილი	35 ლექცია.
2. გრ. გიორგაძე	29
3 გრ. ნასარიძე	27
4. ტრ. ჯაფარიძე	11
5. დიმ. უზნაძე	11
6. გ. ნაიაძე	9
7. ალ. ჯანელიძე	7
8. ს. რობაქიძე	6
9. კიტა აბაშიძე	5
10. ვას. წერეთელი	5
11. გ. ბადრიძე	5
12. ს ქვარიანი	5
13. ლ. ნათაძე	4
14 ია ეკალაძე	4
15 გ. ნიორაძე	4
16. ნ. ბალანჩივაძე	3

ამასთანავე კიდევ რამდენიმე პირს წაუკითხავთ ერთი ან ორი ლექცია, რომლის რიცხვიც უდრის-17 ს.

აღნიშნულ ჩვეულებრივ ლექციების გარდა გამგეობამ ამ ხუთი წლის განმავლობაში რვა საიუბილეო დილა გამართა. პირველად 1910 წ. 28 ნოემბერს გაიმართა ლევ ტოლსტოის პატივსაცემლად ლექციების კითხვა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

სამი საიუბილეო დილა გაიმართა 1911 წ.

1. 20 თებერვალს. გლეხთა განთავისუფლებიდან 50 წლის შესრულების დღესა-წაულის აღსანიშნავად

2. დილა უკრაინელ მგოსნის ტარას შევჩენკოს პატივსაცემლად.

3. რუსეთის სახელგანთქმულ კრიტიკოს ბელინსკის სახსოვრად.1912 წ. 30 ენკ იყო მოწყობილი დილა ჩვენი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. იმავე წლის 18 ნოემბერს გაიმართა დილა ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემლად და შემდეგ 25 ნოემბერს ილიას დილა.

1913 წ. 27 იანვარს თეატრ „რადიუმში მოწყობილ იქნა რუს მგოსან ნეკრასოვის დილა.

სადღესასწაულო დილებში უმეტეს წილად მონაწილეობას ღებულობდა სიმ-

ბიანი ორკესტრი, მომღერალთა ხორო და ახალგაზრდა მგოსნები. გარდა ამისა სახალხო უნივერსიტეტის თეატრალურმა სექციამ მოაწყო 8 სახალხო წარმოდგენა.

პირველ წარმოდგენის დროს ბ-ნ ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა თეატრის მნიშვნელობაზე. საიუბილეო წარმოდგენის დროს ალ. ყაზბეგის სახსოვრად გამართულ დილაზე ია ეკალაძემ ალ. ყაზბეგის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ. ამ წარმოდგენებს დასწრებია 5000-მდე კაცი, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კურსებზე მოსიარულეთა, თუ ლექციების მსმენელთა რიცხვი თანდათან მრავლდება.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოკლედ მოყვანილ სმეტისაგან მკითხველი დაინახავს, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ამ სიმპატიურ დაწესებულების მოღვაწეობა მოქმედება საკმაოდ მრავალფეროვანი და ნაყოფიერი ყოფილა, რისთვისაც სიმართლე მოითხოვს გულწრფელი და უგულითადესი მადლობა განუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ნახსენებ დაწესებულების მოქმედებას ხელი შეუწყვეს.

დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი ელენე ხელთუფლიშვილი, რომელსაც არავითარი შრომა და ენერგია არ დაუზოგავს საღამოს კურსების საქმის მოსაწყობად. (საღამოს კურსებს მეთაურობს ელენე ხელთუფლიშვილი)

ბ-ნ ალ. ალ. გარსევანიშვილის თავდადებული შრომა, მის წყნარ მოქმედება— მოღვაწეობას ჩვენ პირდაპირ განცვიფრებაში მოვყევართ

ეს მრავალ სხვადასხვა საქმით დატვირთული ადამიანი დღეს, ფაქტიურად ხელმძღვანელობს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს, და ამ სახალხო სკოლის წარსამატებლად შრომას და ენერგიას არ ზოგავს და არც უღალატნია თავისი მოვალეობისათვის მისი ამ საქმისადმი უკიდურესი სიყვარული იქიდანაც სჩანს, რომ მიუხედავათ მრავალი საქმისა, რომელიც მას დაკისრებული აქვს სამსახურისა თუ საზოგადო საქმეების გამო, მიუხედავათ ამისა ყველაზე მეტი ლექცია წაუკითხავს (35 ლექცია) ამასთანვე მისი ლექციები ისეთი შინაარსის და ენით არის, დაწერილი, რომ თვით უცოდინარ ადამიანსაც-კი გულის სიღრმეში სწვდება და ახსოვნდება

მისი სადა და შინაარსიანი ლექციები ძვირფასი მოსასმენია. .

ამიტომ არ შეგვიძლიან ამ დაუღალავ ადამიანს, ჩვენ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა არ განუცხადოთ, და არ ვუსურვოთ, რომ მისი მოქმედება კვლავ ხანგრძლივი ყოფილიყოს მშრომელ ხალხის გამოსაფხიზლებლად და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! ირ—დი.

კულტურული საქმიანობა.

ქართველი ხალხის ფართო მასა ჩვენ საყვარელ მგოსნებსა და მწერლებს ჯეროვნად ვერ იცნობს, მას დღემდე ნათლად არ აქვს წარმოდგენილი თუ ვინ არის მისი ნამდვილი, ერთგული და თავდადებული მეგობარი და მოყვარული ადამიანი. მან დანამდვილებით არც ის იცის—დღემდე ხალხის საკეთილდღეოთ რაც გაკეთებულა—ამაში უდიდესი ღვაწლი და შრომა ვის ეკუთვნის და ვისი ზედგავლენით არის იგი გაკეთებული. სოფლის ხალხის უმრავლესობა თავის ერთგულსა და მოამაგეს სხვადასხვა ჯურის მოხელეებში ეძებს. ეძებს აგერ რამდენი ხანია, მაგრამ ამაოდ ჩვენი თავდადებული მგოსნები და მწერლები, რომლებიც მათთვის იწვიან და იდაგვიან; ხალხის ფართო მასას დიდ ადამიანებად არ მიაჩნია. ასეთი ყალბი მათი შეხედულება სოფლის ინტელიგენციის დაუდევნელობის ბრალია. ფეხმოკიდებულ ინტელიგენტათ სოფლად ორი პროფესიის ადამიანი შეგვიძლია დავასახელოთ. პირველი არის მღვდელი და მეორე მასწავლებელი ერთს აბარია ეკლესია და მეორეს სკოლა, აი ამ ორი დაწესებულებიდან უნდა შეიძინოს სოფლის მასამ განვითარება და გათვითცნობიერება, ჩვენი ხალხი ბურუსიდან უსათუოდ ეკლესიამ და სკოლამ უნდა გამოიყვანოს. ჩვენი მრავალტანჯული მგოსნების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ხალხი სკოლასა და ეკლესიაში უნდა ეცნობოდეს. საუბედუროდ, ჩვენდა ეს ასე არ ხდება ეკლესიის კათედრიდან სრულიად არაფერი არ ისმის ჩვენი მგოსნებისა და მწერლების მოღვაწეობაზე და მათ საჭიროებაზე. ამ საგანზე ზრუნვა ეკლესიის წარმომადგენლებს ზედმეტად მიაჩნიათ; სკოლების შესახებ თუმცა ამასვე ვერ ვიტყვით, მაგრამ სასურველად და ჯეროვან სიმაღლეზე არც იქ არის ეს საქმე დაყენებული. სკოლებში გამართულ სალიტერატურო დილა საღამოებზე, რომლების პროგრამაშიდაც, ჩვენი მგოსნების ცხოვრებას შესაფერისი ადგილი უჭირავს, სოფლის მდაბიო მასა მონაწილეობას ვერ ღებულობს, არც სკოლაში კურს დასრულებულები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. ეს გარემოება კი მათ თავის უმთავრეს მნიშვნელობას უკარგავს. გარდა ამისა, ასეთი საღამო და დილა სკოლის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა, დიდი საქმე იქნება, რომ წელიწადში ერთხელ გაიმართოს და ეს კი ჩვენი მგოსნებისა და მწერლების გაცნობისათვის წვეთია ზღვაში.

უსათუოდ საჭიროა სოფლად მღვდელი და მასწავლებელი კულტურულ საქმიანობაში შეერთდენ და ყოველ კვირაობით თუ არა თვეში ერთხელ მაინც ფართო პროგრამით შემდგარი სალიტერატურო დილა ან საღამო გამართონ. ასეთს სალიტერატურო მუშაობას მიზნად უნდა ჰქონდეს დღეს ერთი ჩვენი მგოსანი გააცნოს ხალხს, ხვალ მეორე და სხვა თუ ასე მოვიქცევით ჩვენი ხალხის ფართო მასა მტერსა და მოყვარეს თვითონ იცნობს, რაც ერთი ორად გააორკეცებს სწავლის სურვილს მათში,

მ. ფარცხნალეიშ

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. კლდეეთი (შორ. მაზრა). ყველამ კარგად იცის, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა დღევანდელმა უმაგალითო ომმა სოფლელი ხალხი, რა უსახსრობას განიცდის დღეს მშრომელი გლეხი მუშა ხელის სიმცირით გლეხის ოჯახმა თავის მრჩენელი ბრძოლის ველზე გაგზავნა, რომლის მაგიერ აღარავინ დარჩენია პატრონად და მომვლელად, ღვთის ანაბარად მიტოვებულ ოჯახს. ამას ზედ დაერთო კიდევ შარშანდელი მოუსავლობა, წყალდიდობა და ათასი სხვა... დღეს სოფელი სწორედ, რომ უნუგეშო მდგომარეობაშია. გაზაფხულდა, მაგრამ რა? სოფელს არ გააჩნია სათესლე სიმინდი.

როგორც სხვა სოფლები, ისე ს. კლდეეთიც დიდ გაჭირვებას განიცდის უსიმინდობით. ძალიან ძნელად თუ ვინმეს მოეძებნება მთელ სოფელში რამდენიმე ბათმანი სიმინდი მუშა ხელი 2 მანეთამდი ფასობს და იმასაც ვერ შოულობენ. წინად დაბა ზესტაფონში ჯერძო პირებს მოჰქონდათ გასაყიდი სიმინდი, სოფლელები ყიდულობდა ფუთობით სიმინდს და დღიურ სარჩოს აწვდიდა დამშეულ ოჯახს. ახლა კი სიმინდი აღარ მოაქვთ ვაგონების უქონლობის გამო. სოფლელი იძულებულია ოცა პურში ერთი აბაზი აძლიოს, რომ ცოლ-შვილი დღიურად გამოიტანონ.

სულ მალე ვენახს წამლობა დასჭირდება და შაბიამანი კი არსად არის. როგორც ვიცით, ზესტაფონში ერთ ვაჭართაგანს მოუტანია გოგირდი, რომელიც გვარწმუნებს, რომ ფუთი გოგირდი 38 მ. დამიჯდაო. ეჭვი არ არის, რომ ეს ვაჭარი ფუთ გოგირდს 40—45 მანეთ ნაკლებ არ გაჰყიდის.

მაშ რა ჰქნას, სოფლელმა, რომელ წყაროდან მოაპოვოს 40 მანეთი ფუთი გოგირდისათვის?

ამასთანავე, ხმა გავრცელდა, რომ ყარსისკენ და სარაყამიშისკენ მუშებს დიდ გასამრჯელოს აძლევენო. გაჭირვებული სოფლელი იჯერებს ყოველგვარ ხმებს და მიდის ყარსისაკენ და ჭოროხისაკენ იმ იმედით, რომ ფულს აიღებს და დამშეულ ოჯახს მიეხმარება. ბევრი წასული სამუშაოდ ისევ მალე ბრუნდება, რადგან ხელფასს ცოტას აძლევენ და რაც ერგებათ იმის აღებასაც დროზე ვერ ახერხებენ.

სოფლებში თავი იჩინა ურიცხვმა მკითხავებმა. როგორც რამე დაიკარგება ან სხვა რამე დასჭირდებათ, იმ წამში მკითხავთან გარბიან. მკითხავებს ხალხი აუარებელი ეძლევა, მაგალითად: ფული, კვერცხი, ქათამი, ღვინო, სანთელი და ათასი სხვა.. ეს ვაჟბატონ-ქალბატონებიც ძარცვავენ ხალხს, რითაც კი შეუძლიათ ვინ ომში გასული შვილის ამბავს ეკითხება, ვინ ქმრისას და ვინ ძმისას. ამას ყურადღებას უნდა აქცევდნენ სოფლის სულიერი მამები და მასწავლებელნი, მაგრამ ესენი ყურსაც არ იბერტყავენ.. დიდი მადლობის ღირსია ბ.ბ. შორაპნის მაზრის უფროსი და დ. ზესტაფონის ბოქაული, რომლებმაც დააპატიმრეს ეს ხალხის მძარცველი ვაჟბატონ-ქალბატონები და სასტიკად აუკრძალეს მკითხაობა. ძალიან კარგი იქნება, რომ სხვა მაზრის უფროსებიც მიბაძავდნენ ბ. შორაპნის მაზრის უფროსს და მატყუარა მკითხავებიდან განათავისუფლებდნენ, ისედაც გალატაკებულ სოფლელ ხალხს.

კლდეეთელი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ბალკანეთის ასპარეზი.

22 მარტი, დორანში და მის ხაზზე დიდი საარტილერიო ბრძოლები ხდება. სხვა ფრონტებზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ლონდონი. ლოიდის სააგენტოს გადმოცემით, გემი „ბენგრენი" წყალ ქვეშას დაუღუპავს, შემადგენლობა გადაარჩინეს.

ბუქარესტი. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ იქ მომხდარი დიდი მანიფესტაციები ხავზე, მაგრამ ამას უნგრეთის პრესა. სიჩუმით მიეგება

პარიზი. ცნობილმა როდენმა თავის ნაწერების მთელი კოლექცია სახელმწიფოს შესწირა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო გვატყობინებს, რომ ნეიტრალ სახელმწიფოთა და დიდ ბრიტანიის შორის არავითარი უთანხმოება არ ჩამოვარდნილაო. აგრეთვე სააგენტომ უარყო ცნობა იმის შესახებ, თითქოს შეთანხმების სახელმწიფოებს ჰოლანდიის ტერიტორიაზე ჯარის გადასხმა ჰსურდესო, ის ხმა სიმართლეს მოკლებულიაო.

იტალიის ასპარეზი.

ანკონასთან ჩვენ მტრის ჰიდროპლანები დავვესხა, ბრძოლის შემდეგ ჩვენ სამი მტრის ჰიდროპლანი მოვსპეთ. ბრძოლის მთელ პირზე მტრის არტილერია ჩავაჩუმეთ ჩისმონთან და სოპრარონცთან ჩვენ უკუვაგდეთ მტრის ჯარები. ჩვენმა ექსმა აეროპლანმა ავსტრიის სადგურებზე ყუმბარები ჩამოჰყარა, რასაც ცეცხლის გაჩენა მოჰყვა. სხვა ფრონტებზე მტრის იერიშები შევაჩერეთ.

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი. საფრანგეთში დღემ წყნარად ჩაიარა, ჩვენ მტრის ყველა იერიში შევაჩერეთ. ჰოჰენცოლერნთა რედუტთან წვრილმანი სროლა ხდებოდა.

ცეპელინების თავდასხმა

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ცეპელინები, რომელნიც სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოებში მოფრინდენ იქ ამაფეთქებელ და ცეცხლის გამჩენ ყუმბარებს ჰყრიდენ, მაგრამ ჩვენ საგანგებო იარაღებთან სროლა ავუტეხეთ და იძულებული გავხდით უკავნე გაფრენილიყვნენ. საგრაფოს ხაზზე ჩამოუგდიათ 33 გასასქდომი ყუმბარა და 65 ცეცხლის გამჩენი.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. 22 მარტი. ტყე ბიუტეტთან დამონდესაპილთან ჩვენ მტერს არტილერიის ცეცხლით ვეკვეთეთ. არგონებში ტყავოკურთან ჩვენ ავაფეთქეთ მტრის ბლოკჰაუზები და აგრეთვე ტყვია. წამლის საწყობები; მაასის დასავლეთით ოკურსკთან გერმანელებმა გუშინ ღამ ენერგიული შემოტევა დაიწყეს, მაგრამ ამაოდ ის ადგილები კი, რომელიც ამას წინად დავსცალეთ ისევ ჩვენ დავიბრუნეთ. მძაფრი ბრძოლა ხდება ვევრთან. კონფლანის სადგურს ჩვენმა საჰაერო ესკადრამ ყუმბარები დაუშინა. ვერდენთან ჩვენმა მფრინავებმა ოთხი მტრის აპარატი ჩამოაგდო.

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. არტილერიის მოქმედება არ გაცხოველებულა. ბელგიის და ფრანგების შეერთებულმა მფრინავებმა მტრის სიმაგრეს დაუშინა.

სხვადასხვა ამბავი.

(პ. დ. ს.)

უ ც ხ ო ე თ ი.

კოპენჰაგენი. სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩებმა ჰააგაში საგარეო საქმეთა მინისტრი ინახულეს და სთხოვეს მეომარ სახელმწიფოთადმი სხვადასხვა მოქმედების დარგში ყურადღების მიქცევა.

ი ა პ ო ნ ი ა.

ტოკიო. სამხედრო საქმეთა მინისტრმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, იაპონიამ უმთავრესი მღელვარება მსოფლიო ომში თავის მოკავშირეთა მიმართ უკვე მოიხადაო.

ოსმალეთი. ბუქარესტიდან იუწყებიან: სტამბოლში სანოვაგის დიდი ნაკლებობაა ეს უფრო იმით აიხსნება, რომ უგზოობისა გამო მცირე აზიიდან ხორბალი თავის დროზე ველარ შემოდის.

საბერძნეთი. ეპირზე საბერძნეთის მმართველ წრეებში კამათი გრძელდება.

ავსტრიაში იტალიის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ ახალ გეგმას ადგენენ.

ბულგარეთი. დასრულდა ჯაშუშების სამართალში მიცემულთა პროცესი.

სერბია. მთელ სერბიაში უკიდურესი სიმშილობა და გაჭირვებაა, გადახვეწილ მცხოვრებთ, რომელნიც წინანდელ კერას უბრუნდებიან გადაბუგულ კარ-მიდამოს მეტი არაფერი ხვდებათ.

პასუხად გ. გმინს.

ფეცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო: ბ. გმინა გვაუწყებს: სოფელ საზანოში გარდა ხალხის გაჭედვ-მოტყუებისა არავის არაფერ კულტურულ დაწესებულებაზე არ უზრუნია, გარდა მასხობ არეთა ლიდუს ქალისა, რომელმაც შესძლო ფოსტის ყუთის დადგმა განუსაზღვრელად მასიამოვნა ბ. გ-ნის წერილმა, რომ სოფელ საზანოს აკლდა საფოსტო ყუთი და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ერთი მათგანი, საფოსტო ყუთის დადგმა ლიდუს ქალმა შესძლო და დარჩენილა მხოლოდ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა და იმასაც მალე მოვესწრებითო. მაგრამ ბ. გ-ნი რომ სხვა კულტურულ დაწესებულებას ვარს ჰყოფს — ეს მაკვირვებს —.

სოფელ საზანოში დაარსდა 1910 წელში ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ბ. ისგირ და კონსტანტინე ი. მდივნების, ადგილობრივ ეფოვლი ბოქაულის ბიქტორ უიფთანის, მღ. ნიკოლოზ მაწიტაძის, ბიკტორ კონჯის, სიმონ კობახიძის და სხვ. მოღვაწეობით, რომელ სკოლაშიც 200 მოსწავლე სწავლობს და 4 მასწავლებელი: 1911 წ. გაიხსნა აფთიაქი ბ. პავლე გოგოლაშვილის და ისევ აღნიშნული პირების მოღვაწეობით; 1915 წ. წვრილი კრედიტის ამხანაგობა ადგილობრივი მასწავლებლების და ისევ ზემოაღნიშნული მოღვაწეების თითხმ[illegible] ზანი არც ერთ სა[illegible] წანაურებულ სა[illegible] როდესაც ბიბლ[illegible]

საზანოში მამსკლელ თვალწინ [illegible] მოღვაწეობა ადგილი სახელწოდებული „სა[illegible] ზედ ვებერთლა ცხრა თვალი სახ[illegible] წავლებლის შენობა, რომელიც არ[illegible] ცქერას მთელს სოფელს მარცხნივ [illegible] და დასავლეთით დროებით მოთავსებუ[illegible] ლის სამმართველოს შენობაში წვრილ[illegible] დიტის ამხანაგობა.

იქნება ბ. გ-ნმა სხვა კულტურული [illegible] ბულებები და მათი დამაარსებელი მოღვ[illegible] რები იმისთვის დაგვიმალა, რომ ვერ[illegible] რადგან მაიქტის პატარა საფოსტო [illegible] და მისმა დამაარსებელმა ლიდუს ქალმა [illegible] რამ სხვა რა ჰქონდა მიზნად აღარ გვე[illegible] პატივცემული მკითხველი შემდეგშიც [illegible] და საზანოს მუდმივი კულტურული დაწ[illegible] ლებისადმი მოღვაწე პირები შეურაცხყო[illegible]

ბ. გ-ნო, თქვენ მოგეხსენებათ, წ[illegible] გზნება გაიმართა სოფ. საზანოს და [illegible] რეთში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს და [illegible] ტო ყუთის დასაარსებლად. დაარსებული [illegible] საფოსტო ყუთი სჩანს თქვენი წერილ[illegible] რა მიზეზია, რომ სამკითხველოს არ [illegible] ნებთ? იქნება საჭიროდ აღარ ჩასთვა[illegible] ვალ შემთხვევაში რაც არჩევანი ფულ[illegible] დენობას აღემატება ყუთის დირ[illegible] უნდა ანახებოდეს ისევ ბიბლიოთეკის [illegible] რაიმე კულტურული დაწესებულების სა[illegible] ლოდ, რაც რომელიმე გაზეთის საშუ[illegible] უნდა ეუწყოს საზოგადოებას.

კვიწრ[illegible]

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობ

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ორკვირეული ჟურ

—|„სკოლა და ოჯახი"|—

იწყებს გამოსვლას ქუთაისში სამი აპრილიდან შემდეგი პროგრამით: პედაგოგია, [illegible] აღზრდა, ჰიგიენა, განათლება სკოლის გარეშე, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, [illegible] მასწავლებელთა შორის, პროზა, და პოეზია, ჩვენი მხარე, კრიტიკა და ბიბლიოგ[illegible] კითხვა-პასუხი, მოღვაწეთა სურათები და განცხადებანი. ჟურნალში თანამშრომლობას [illegible] ქვეს ჩვენმა ცნობილმა პედაგოგებმა და ლიტერატორებმა. ჟურნალი ღირება წლის[illegible] ვამდი ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი კი ორი შაური.

ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: **ქუთაისი, ქალაქის [illegible] სკოლა, ხაზინის წინ** (ჟურნალისათვის). აქვე შეიძლება რედაქტორის ნახვა ყო[illegible] გარდა კვირა უქმისა პირველ საათამდი. უმარკო წერილებს ვერ მივიღებთ.

რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ნაცვლიშვილ**

— ქუთაისი. —

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).

მიიღება ვენახის ასაპრავი ს[illegible]

ქ ი ლ ი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო ქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერ[illegible]

—| ს ა ლ ი კ უ ჭ ი |—

ჟ ე ლ ა ზ ა რ ი ექ. ვეზისა

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ავზობის მოშლის, ნაწლავების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუ[illegible] ტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ავზობა წყართა მთელი წყება კუჭ-ნაწლავების მოშლისა, პირ[illegible] დებინებისა, სიმწვავისა, მეცლის პირგისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლავ[illegible] კატარისა, გემოთიისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მად[illegible] დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა — დასუსტებ[illegible] ავზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სოფადარათით წამლებს, რომელ[illegible] არა თუ სპობს ავზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაზარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაკვის მასსას, ასიდ[illegible] ნაწლავებს, აშორებს უდებობას და აწვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადი[illegible] კალურათ სპობს ჭვალს, ნაწლავების კატარს, მიგრენს და სხვა სასუსტე[illegible] რომელიც გამოწვეულია ავზობისაგან.

ჟელაზარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებ[illegible] ადვილი გადასატანია თვით ჩვილ ავათმყოფობისაგანაც კი.

პრეპარატ **ჟელაზარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყ[illegible] ფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალე[illegible] კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებ[illegible] თანავე ეგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაზარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაის[illegible] **ა. პ. ზავირზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქ[illegible] თეატრის პირდაპირ.

ჟელაზარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მისარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფ[illegible] 9 (წლ[illegible]

[illegible] — ქუთაისში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.